

ან კუ  
იხსნები  
აციის  
„გა  
ზის შე  
მა საქა  
ცწება  
რომელ  
მოგვა  
დაიზრ  
ში. თუ

მოგალი  
პირ, ს  
წყოს კ  
რომ ას  
წარმო  
აქცია კ  
მოების  
იმის  
დასხვა  
გაკოტე  
მანეთშ  
ერთ ზ  
მოქაბა  
ეს და  
მეცნიე  
ბილი.

საქართ  
საინ  
ცელობი  
სპეციალური კანონით წესრიგდება.

ასეთი სპეციალური კანონების არსებობა არ არის  
უცხო ეკრობისა და ანგლო-ამერიკული სამართ-  
ლის სისტემებისთვის. ვალუვალობის სამართლის  
მომწერლიგებელ სპეციალურ კანონებს მოცემული  
სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე  
„გაკოტრიაბის კანონს“<sup>1</sup> უწოდებდნენ, ხოლო წინა  
სუურის ბოლოთან უკვე მცვიდრდება ახალი ტე-  
მინი „ინზოლუსი“ (insolvency) და შესაბამისად,  
კანონის თანამედროვე სახელმოდებაც - „კანონი  
ინზოლუსის შესახებ“<sup>2</sup>. თავისი ვინობო გავებით,  
„ინზოლუსი“ გადახდისუუნარობას, იგივე ვალუ-  
ვალობას ნიშნავს.

The issues of insolvency are regulated by  
special law in Georgia. Existence of such  
special laws is not strange to the systems  
of European and Anglo-American legis-  
lation. They call special laws regulating  
insolvency legislation “Bankruptcy Law”

1. Since the end of the previous century  
new term “insolvency” was established  
and relatively modern name of the law is  
“The law on insolvency”

2. In the narrow sense, “insolvency”  
means inability of payment, inconsis-  
tence.



საქართველოში 1996 წელს მიღე-  
ბულ კანონშიც თავდაპირველად სი-  
ტყვა „გაკოტრება“ ფიგურირებდა  
- კანონი „გაკოტრების საქმეთა  
წარმოების შესახებ“ (ამოქმედდა  
1997წ. 1-ლი იანვრიდან)<sup>3</sup>, ხოლო  
2007 წელს მიღებული კანონი შე-  
დარებით „წესრიგის სახელით მოგვე-  
ლონა - კანონი „გადახდისუუნარო-  
ბის საქმის წარმოების შესახებ“<sup>4</sup>.

In the law adopted in Georgia  
in 1996 the word “bankruptcy” was  
mentioned – the law “on bankruptcy  
proceedings” (enacted since January 1,  
1997)<sup>3</sup>, while the law adopted in 2007  
is has relatively simple name – the law  
“on insolvency proceedings”.<sup>4</sup>

Both laws in force in Georgia  
consist of special rules for regulation  
of insolvency proceedings. For example, bankruptcy  
law as of 1996 discussed insolvency proceeding as joint  
proceedings and was called “bankruptcy proceedings”.  
The mentioned proceeding, which was opened on the  
basis of the debtor’s or the creditor’s application, could  
be transformed into the rehabilitation proceeding.

1. მაგალითად, გერმანიაში გაკოტრების კანონს, რომელიც  
1877-1999 წლებში მოქმედებდა, უწოდებენ Konkursordnung,  
რუსეთში 1993 წელს მიღებულ კანონს - ვაკონ ი ბანკროტება,  
ხოლო ანგლო-ამერიკულ ქვეყნებში - bankruptcy law

2. შედარებისათვის, მაგალითად, გერმანიაში ამ კანონს

Insolvenzordnung ეწოდება, ხოლო ინგლისში - insolvency law.

3. სომარტივისთვის მას „გაკოტრების კანონი“ შეიძლება  
ეწოდოს.

4. სიმარტივისთვის მას „გადახდისუუნარობის კანონი“  
შეიძლება ეწოდოს.

<sup>1</sup> For example, they called bankruptcy law adopted in the years 1877-1999, “Konkursordnung”; in Russia they called the law adopted in 1993 – “Закон о банкротстве”, and that of Anglo-American countries – “Bankruptcy law”.

<sup>2</sup> For comparison, in Germany this law is called “Insolvenzordnung”, and in England “Insolvency Law”

<sup>3</sup> For simplicity it may be called “Bankruptcy Law”.

<sup>4</sup> For simplicity it may be called “Insolvency Law”.

ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე იქნებოდა, შეიძლებოდა ასევე რეაბილიტაციის წარმოებაში გადაზრდილიყო.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2007 წელს მიღებულმა კანონმა საქმის წარმოებისათვის შემოილო ზოგადი ცნება - „გადახდისუუნარობის წარმოება“, რომელიც იწყება სამეურვეო წარმოებით და მოგვიანებით ან გაკოტრების წარმოებაში გადაიზრდება ან - რეაბილიტაციის წარმოებაში. თუმცა, ამავე კანონით დაშვებულია, რომ მოვალის განცხადების საფუძველზე პირდაპირ, სამეურვეო წარმოების გარეშე დაიწყოს გაკოტრების წარმოება. ასანიშნავია, რომ ახალმა კანონმა „გადახდისუუნარობის წარმოების“ ფართო გაგებაც მოგვცა და იგი აქცია გაკოტრებისა და რეაბილიტაციის წარმოების საერთო ცნებადაც.


იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა წარმოების (გადახდისუუნარობის, სამეურვეო, გაკოტრების, რეაბილიტაციის წარმოების) ერთმანეთში აღრევა, ყველა წარმოება გაერთიანებულია ერთ ზოგად ცნებაში და მას „ვალაუვალობის წარმოება“ ეწოდება. შესაბამისად, ქართული სამართლის დარგი, ამასთან, სამართლის აღნიშნული დარგის მეცნიერებაც „ვალაუვალობის სამართლითაა“ ცნობილი. სწორედ ამ სახელწოდებით დამკვიდრდა იგი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებშიც.

სანტერესოა, რა ადგილი უკავა მოვალის გადახდისუუნარობას ქართულ სამართალში. აღსანიშნავია, რომ მოვალს გადახდისუუნარობა ვალაუვალობის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

დღეს მოქმედ გადახდისუუნარობის კანონით მოვალის გადახდისუუნარობა წარმოადგენს სასამართლოში გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის საფუძველს (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 13). განცხადების შეტანის ინიციატორად გვევლინება თავად მოვალე ან მისი კრედიტორი (კრედიტორები).

გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის საფუძველია ასევე მოსალოდნელი გადახდისუუნარობა (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 13).

განსხვავებით გადახდისუუნარობის კანონისა, გაკოტრების კანონი სისტემურად უფრო სწორად არის აგებული. თავდაპირველად, იგი გაკოტრების წარმოების წინაპირობებს ახსასიათებს და ორ ძირითად - მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობას გამოყოფს. ამ სქემაში მოვალის განცხადება განიხილება როგორც გაკოტრების წარმოების ფორმალური წინაპირობა. წარმოების მატერიალურ წინაპირობად, გაკოტრებაუნარიანობასთან ერთად, მიჩნეულია, აგრეთვე გაკოტრების (წარმოების) საფუძველი. ამ დენად, გაკოტრების კანონის მიხედვით, მოვალის



The law "on solvency proceedings" adopted in 2007 involved general term – "insolvency proceeding", that is started with tuition proceeding and later it turns either into the bankruptcy proceeding or rehabilitation one. Though, pursuant to the same Law it is permitted to start bankruptcy proceeding without tuition on the basis of the debtor's application. It is remarkable that new law gave us wide understanding of

"insolvency proceeding" and turned it into the general concept of bankruptcy and rehabilitation proceedings.

To avoid messing of different proceedings (of insolvency, tuition, bankruptcy, rehabilitation), every proceeding is united into one single concept – "insolvency proceeding". Respectively, the science of this field of Georgian legislation, as well as the mentioned one, is known as "insolvency law". This is the name it is established in the institutions of higher education of Georgia.

It is interesting what place Georgian legislation does debtor's insolvency occupy. It is remarkable that the debtor's inability of payment is one of the most important institutions of insolvency.

Pursuant to the insolvency law in force, the debtor's insolvency is the foundation file application on insolvency (Insolvency Law, Article 13). The Debtor or his/her creditor (creditors) is initiators of the application.

Another reason for the appeal is estimated insolvency (Insolvency Law, Article 13).

In contrast to the insolvency law, bankruptcy law has systematically better build. At the beginning it characterizes preconditions to the bankruptcy proceeding and separates two basic – material and formal preconditions. In this scheme they discuss debtor's application as formal precondition to the bankruptcy proceeding. Foundation to the bankruptcy (proceeding) is considered to be material precondition, together with the ability of bankruptcy. Thus, pursuant to the bankruptcy law, they discussed insolvency of the debtor to be one of the foundations to the bankruptcy proceeding (Bankruptcy

გადახდისუუნარობა განიხილებოდა სწორედ გაკოტრების წარმოების ერთ-ერთ საფუძვლად (შრ. „გაკოტრების კანონი“, მუხლი 2.2). რადგანაც განცხადება თავად წარმოადგენდა სწორედ გაკოტრების წარმოების ფორმალურ საფუძველს, სისტემურ შესაბამობას ექნებოდა ადგილი, თუკი განცხადების (როგორც ფორმალური საფუძვლის) შეტანის საფუძვლად გადახდისუუნარობას განვითავდით.

გაკოტრების კანონის მიხედვით, გაკოტრების სხვა საფუძვლებად მოსალოდნელ გადახდისუუნარობასთან ერთად აღიარებული იყო აგრეთვე კლასიკური ზედაგალინება. თუმცა, ამ უკანასკნელ საფუძველზე, გაუგებარი მიზეზების გამო, დღეს არსებულმა ვალაუგალობის ქართულმა სამართალმა საერთოდ უარი თქვა.

მოვალის გადახდისუუნარობის შინაარსის ასახენებად ამოსაგალია ტერმინი „გადახდისუუნარობა“. ამ ტერმინის ლეგალური დეფინიცია ყოველთვის იყო გაღაუგალობის კანონებში მოცემული. მაგალითად, გაკოტრების კანონის 2.3 მუხლი მას შემდეგნაირად ასასიათებდა: „მოვალის გადახდისუუნარობა სახელი, როდესაც მას არ შეუძლია შეასრულოს ვალამოსული გადახდის ვალდებულებები“, ხოლო გადახდისუუნარობის კანონის 3.„ მუხლის მიხედვით, გადახდისუუნარობად მიჩნევა „მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვალამოსული მოთხოვნა“. კრედიტორის მოთხოვნა ვადამოსულად მიჩნევა, როდესაც დამდგარია მისი ვალდებულებების გასტუმრების ვადა.

აღნიშნულ დეფინიციაში მიშნებულოვანია „მოვალის უუნარობის“ სწორად გაეცება. არსებული ვალდებულებების შესრულებასთან, ანუ კრედიტორების მოთხოვნებთან მიმართებაში მოვალის უუნარობა უნდა იყოს ხანგრძლივი (მყარი) და არა დროებითი (იმშუთიერი).

მოვალის გადახდისუუნარობის სიმყარე იმაშია, რომ მას საერთოდ არ უნდა შეეძლოს კრედიტორთა მოთხოვნების, ანუ არსებული ვალდებულებების შესრულება იმის გამო, რომ მას არ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები, ან არ არსებობს უახლოეს ხანში მათი შოგნის პერსპექტივით. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც მოვალე კრედიტულისა, ანუ, როდესაც ბანკები ან სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები არალიკვიდურობის გამო უარს ეუბნებიან მას კრედიტის გაცემაზე.

მოვალე გადახდისუუნარობ მიჩნევა მაშინაც, როდესაც მას, მართალია, გააჩნია მატერიალური აქტივები, მაგრამ მათი რეალიზაცია გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, ხოლო კრედიტორი კრედიტის დაუღოვება აქტივების რეალიზაციის.

ამდენად, მოვალის გადახდისუუნარობად არ შეიძლება მივიჩნოთ შემთხვევა, როდესაც მოვალეს ნე-

Law, Article 2.2). As the application was itself formal foundation to the bankruptcy preceding, there would be systemic inconsistency if we discussed insolvency to be the basis to the application (as formal foundation).

Pursuant to the bankruptcy law, they recognized classic over-indebtedness to be other foundation to the bankruptcy, together with the estimated insolvency. Though, Georgian insolvency legislation in force refused the foundation of over-indebtedness, because of uncertain reasons.

The term “insolvency” is the starting point of the content of inability of payment. Legal definition of this term has always been given in the Insolvency Law. For example, Article 2.3 of Bankruptcy Law characterizes it as following: “**Insolvency of the debtor is evident when he/she is unable to fulfill payment obligations in time**”, and pursuant to the article 3 “a” of Insolvency Law, insolvency is considered to be “**inability of the debtor, for satisfying opportune request of the creditor**”. The creditor’s request is considered to be opportune, when it is time for paying obligations.

It is important to understand correctly meaning of “**inability of the debtor**”. Inability of the debtor in fulfillment of the existed obligations, in relation with the creditor’s demand, shall be lasting (stabile) and not provisional (of the moment).

**Stability of the insolvency of the debtor is in disability of the latest for fulfillment of the creditor’s requests that are existed obligations because of he/she has not enough money resources, or there is no perspective for finding them in close future. These are such occasions, when the debtor doesn’t deserve credit, or when banks or other financial-credit organizations refuse him/her in credit because of illiquidity.**

The debtor is considered to be insolvent when the latest owns the assets, but their realization needs definite period of time and the creditor will not be able to wait for their realization.

Thus, we can not consider the occasion to be the debtor’s insolvency, when the debtor doesn’t want to fulfill obligations even when the debtor has sufficient cash resources or liquid properties.

The creditor can indicate insolvency of the debtor if the former has complete or important point of view about every obligation and liquid means of the debtor. Only small part of the creditors (for example banks, insurance organizations) is informed in such way. Other creditors may only presume if insolvency of the debtor

ბაყოფლობით არ სურს ვალდებულებების შესრულება მაშინაც კი, როდესაც მას საქმარისი ფულადი სახსრები ან ლიკვიდური ქონებები გააჩნია.


კრედიტორს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს მოვალის გადახდისუნარობაზე, თუ მას სრული ან მნიშვნელოვანი წარმოდგენა ექნება მოვალის ყველა ვალდებულებასა და მის ყველა ლიკვიდურ სამუშალებაზე. კრედიტორთა მხოლოდ მცირე ნაწილს (მაგალითად, ბანკებს, სადაც დაცვო ორგანიზაციებს) აქვთ ასეთი ინფორმაციულობა. სხვა კრედიტორებმა შეიძლება მხოლოდ ივარაუდონ, სახელისა თუ არა მოვალის გადახდისუნარობა. კონკრეტულ კრედიტორს ასეთი ვარაუდი მხოლოდ მაშინ გაუწიდება, როდესაც იგი მოსთხოვს მოვალეს ვალდებულების შესრულებას, ხოლო ეს უკანასკენი კი არ შეასრულებს ან დაყოვნებს შესრულებას.

ამრიგად, არ შეიძლება ზოგადად მოვალის გადახდისუნარობაზე საუბარი, როცა მოვალე დროებით შეწყვეტს გადახდებს კონკრეტული კრედიტორის ან რამდენიმე კრედიტორის მიმართ. სწორედ ამ ვარაუდს ეფუძნებოდა გაკოტრების კანონი, როდესაც 2.3 მუხლის მე-2 წინადადებაში მიუთითებდა, რომ მოვალის გადახდისუნარობა ივარაუდება, თუ მოვალე ზოგადად შეწყვეტს ვალების გადახდას. ამდენად, ზოგადად ვალდებულებების შესრულების შეწყვეტა – ეს არის გადახდისუნარობის გარეგნული გამოხატულება, ეს არის მხოლოდ ვარაუდი გადახდისუნარობის არსებობაზე, მაგრამ არა – დადგენილი გადახდისუნარობა, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უნდა იყოს ხანგრძლივი და მყარი.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9.9 მუხლი სამეწარმეო საზოგადოებების ხელმძღვანელებს აგალდებულებს, ბრალეული გაჭიანურების გარეშე შეიტანონ გადახდისუნარობის განცხადება სასამართლოში, თუკი საზოგადოება გადახდისუნარობა ან ასეთის საშიროების წინაშეა. კანონის ამ ნორმაში ნახსენები ტერმინი „გადახდისუნარობა“ არ გულისხმობს დადგენილ გადახდისუნარობას. აյ არის საუბარი მხოლოდ ვარაუდზე გადახდისუნარობის შესახებ, რომელიც ცნობილია საზოგადოების დირექტორისთვის. მან ხომ გარეშე კრედიტორებზე უკეთესად იცის თავისი საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის, მათ შორის არსებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების ვალების შესახებ.

საზოგადოების დირექტორის მიერ გადახდისუნარობის ვარაუდზე დაყრდნობით სასამართლოში ვალაუგალობის განცხადების შეტანა მაინც არ აღასტურებს გადახდისუნარობის ფაქტს.

ქართული სამართლის შესაბამისად, მოვალის გადახდისუნარობის ფაქტი უნდა შემოწმდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი დადგენილად მიჩნევა. მანამდე, სანამ არ დადგენდება სამეწარმეო საზოგადოების გადახდისუნარობის ფაქტი, დაუშვებელია მისი ასეთად მიჩნევა.



exists. Definite creditor will have such assumption after requesting fulfillment of the debtor's obligations, and this latest doesn't fulfill them or delays its fulfillment.

Thus, we can not speak about insolvency of the debtor in general, when the latest stops payment to the definite creditor or several ones provisionally. Bankruptcy Law is based on this presumption, when there is read in the second sentence of the Article 2.3 that insolvency of the debtor is supposed if the latest generally stops payment of the debt. Thus, **stopping fulfillment of general obligations means the surface expression of insolvency; this is only conjecture of about existence of insolvency, though not of the stated insolvency, which must be lasting (stabile), as said above.**

Article 9.9 of the Law **“on Entrepreneurs”** obliges the managers of enterprises to file application on insolvency to the court without delay if the society is in solvent or it is under such danger. The term **“insolvency”** mentioned in this norm of the law doesn't mean **stated insolvency**. They mean only presumption about insolvency, which is known to the director of the society. This latest knows much better than other creditors, financial conditions of his/her company, including information about existed obligations and terms for their fulfillment.

Filing application on insolvency by director of the company doesn't prove such fact.

Pursuant to the Georgian legislation, the fact of inability of payment of the debtor shall be **audited** and only after this it will be possible to consider it as determined. Until determination of insolvency of the company, it must not be considered so.

**Auditing insolvency** of the debtor takes start after returning corresponding verdict by the court in relation with the insolvency application. **Precondition to the auditing insolvency is initiation of proceedings in a case by the court** (Insolvency Law, Article 19), and pursu-

მოვალის გადახდისუუნარობის შემოწმება იწყება მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს შესაბამის განჩინებას ვალაუვალობის განცხადებასთან დაკავშირებით. გადახდისუუნარობის კანონით გადახდისუუნარობის შემოწმების წინაპირობა მოვალის ან კულტორის გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღება (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 19), ხოლო გაკოტრების კანონით - ასეთი განცხადების საფუძველზე გაკოტრების წარმოების გახსნა (გაკოტრების კანონი, მუხლი 11). სასამართლო გადახდისუუნარობის განცხადებას მიიღებს წარმოებაში თუ გახსნის გაკოტრების წარმოებას, ორივე შემთხვევაში ვალაუვალობის წარმოების დაწყებას (გახსნას) აქვს ადგილი.

გადახდისუუნარობის კანონი ავიწროებს ვალაუვალობის წარმოების ცნებას და მას გადახდისუუნარობის წარმოებას უწოდებს. თუმცა, გადახდისუუნარობის წარმოება არ შეიძლება მიერჩიოთ ვეროპულ სამართალში დადგენილ არც სტანდარტულ გაკოტრების წარმოებად და არც - ანგლო-ამერიკულ და ევროპულ სამართალში არსებულ სარეორგანიზაციო, ანდა სანაციონ წარმოებად. გადახდისუუნარობის წარმოება წინ უსწრებს გაკოტრების წარმოებასაც და რეაბილიტაციის წარმოებასაც<sup>5</sup>.

გადახდისუუნარობის კანონის მიხედვით, მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს თავდაპირველად ამოწმებს სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვე, რომელიც ქუდიტორთა ქრებაზე წარდგენილ თავის მოხსენებაში აფასებს მოვალის გადახდისუუნარობის გარემოებებს (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 26.2. "g"). გადახდისუუნარობის საკითხის შემდგომი შესწავლით უკვე მომრიგებელი საბჭო<sup>6</sup> დაკავებული (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 33.1).

მოვალის გადახდისუუნარობის საკითხის შესწავლის შემდეგ მომრიგებელმა საბჭომ შეიძლება დაადგინოს, რომ არ არსებობს მოვალის გადახდისუუნარობის საფუძველი ან ეს საფუძველი აღმოიფხვრა გადახდისუუნარობის განცხადების შეტანის შემდეგ (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 34.1). თუკი მომრიგებელი საბჭო მივიდა ასეთ დასკრინდე, მაშინ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გადახდისუუნარობის წარმოების შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება ასევე სასამართლოსთვის, რომელიც იღებს ანალოგიურ განჩინებას გადახდისუუნარობის წარმოების შეწყვეტის შესახებ (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 34.2).

საინტერესოა, თავად გადახდისუუნარობის

ant to the Bankruptcy Law – opening proceedings on bankruptcy on the basis of such initiation (Bankruptcy Law, Article 11). The court shall initiate insolvency application if it opens bankruptcy proceeding, in the both cases insolvency proceedings take place.

Insolvency Law reduce the concept of insolvency proceeding and calls it **Insolvency proceeding**. Though, insolvency proceeding may not be considered to be either bankruptcy proceeding of the European legislation or Anglo-American and European reorganization or readjustment proceedings. Insolvency proceeding foregoes bankruptcy and rehabilitation ones<sup>5</sup>.

Pursuant to the Insolvency Law, the issue of insolvency of the debtor in the first place is audited by the trustee appointed by the court. The Trustee evaluated conditions of the debtor's inability of payment in the report submitted to the creditor's meeting<sup>6</sup> (Insolvency Law, Article 26.2."g"). Further study of the issue of insolvency is provided by the **conciliatory board**<sup>6</sup> (Insolvency Law, Article 33.1).

After learning insolvency issue of the debtor, conciliatory board may state that there is no foundation to the debtor's insolvency or that this foundation is absent



პერიოდ  
რაუდი  
მოვალ  
სანამ  
გადაწ.  
გაკოტ.  
აყვანი  
33.3).  
ბრივი  
გრძელ  
შიც.  
ამრ  
მთელი  
მოვალ  
მიმართ  
კოტრ.  
ვის, მი  
ლოს .  
სიცოც  
წინდა  
ავ  
იმპორ  
მოვად  
ძლებ.  
ასლი  
მიღებ  
უადი  
აფიცი  
იმ აზ  
ბის ფ  
ბის ა  
ფაქტ  
ლაუზ  
ზემოს  
არობ  
დინარ  
მოიპ  
გადას  
ფეხებ  
შევა  
შევა  
ატრი

5. 6  
ჩენისაკე  
გხაცენ  
6.  
ლის მიე  
რომელი  
არობის

პერიოდის ხანგრძლივობა, ანუ როდემდე შეიძლება ვივა-  
რაუდოთ მისი არსებობა. მოქმედი კანონის მიხედვით,  
მოვალის გადახდისუუნარობა იყარაუდება მანამდე,  
სანამ მომრიგებელი საბჭო არ მიიღებს საპირისპირო  
გადაწყვეტილებას, ანუ გადაწყვეტილებას მოვალის  
გაკოტრების, ან მისი რეაბილიტაციის რეჟიმში გად-  
აყვანის შესახებ (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი  
33.3). ამდენად, მოვალის გადახდისუუნარობის ფქვო-  
ბრივი მდგომარეობა, ანუ როგორც დადგენილი ფაქტი  
გრძელდება გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმშიც.

ამრიგად, მოვალის გადახდისუუნარობის საკითხს  
მშელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. მხოლოდ  
მოვალის მყარი გადახდისუუნარობა უნდა იყოს მის  
მიმართ გადახდისუუნარობისა და შემდგომში გა-  
კოტრების წარმოების დაწყების წინაპირობა. მეურ-  
ვის, მომრიგებელი საბჭოსა და ბოლოს – სასამართ-  
ლოს არასწორმა დასკვნამ შეიძლება გამოიწვიოს  
სიცოცხლისუნარიანი საწარმოს ნაჩეარევად და  
წინდაურედავად გადაყვანა გაკოტრების რეჟიმში.

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღინი-  
თონოს, რომ გადახდისუუნარობა - როგორც  
მოვალის ზაპორიგრივი მდგომარეობა, უი-  
კლება დარმოიშვას სასამართლოს მიერ გად-  
ახდისუუნარობის გაცვალის გადახდისუუნარო-  
ბის აზრი, ანუ კოვალის გადახდისუუნარო-  
ბის ფაქტი, ანუ მოვალის გადახდისუუნარო-  
ბის მდგომარეობა, უიცილებლად დაგენერი-  
ლი ფაქტად უდია მივიჩიოთ სასამართლოში ვა-  
ლაუგალობის საქმის აღვროვნება. როგორც  
ზემოთ აღვითოთ, მოვალის გადახდისუუნ-  
არობის ფაქტი დადგინდება და მისგან გამო-  
დინარე სამართლებრივი უეღებები დარ-  
მოიობა მხოლოდ ეს უეღებები და-  
გადახდისუუნარობის სამართლებრივი უეგ-  
ობა და უფასაბა, ხოლო უეგდომები კი - აგ  
უფასაბის სასამართლო განხილვით დადას-  
ტურება.

**როინ მიგრიაული,  
კავკასიისა და საქართველოს უნივერსიტეტების  
ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი**

5. რეაბილიტაციის წარმოება, უპირველესად, მოვალის გადარ-  
ჩენისაკენ, მისი ფინანსური და ეკონომიკური პრობლემების დაძლე-  
ვისაკენ არის მიმართული.

6. მომრიგებელი საბჭო - ეს არის კრედიტორებისა და მოვა-  
ლის მიერ პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი საეკიალური ორგანო,  
რომელიც არსებოთად აფასებს და წევეტს მოვალის გადახდისუუნ-  
არობის საკითხს (გადახდისუუნარობის კანონი, მუხლი 32).

since filing application on insolvency (Insolvency Law, Article 34.1). If the conciliatory board comes to such conclusion, it must make decision on stopping insolvency proceedings. This decision becomes compulsory for the court as well, which bring in analogue verdict on stopping insolvency proceedings (insolvency Law, Article 34.2).

Duration of the insolvency period is of interest as well, that is how long can it exist. Pursuant to the Law in force, insolvency of the debtor is considered until conciliatory board makes opposing decision, that is the decision about bankruptcy of the debtor or his/her transfer to the rehabilitation regime (Insolvency Law, Article 33.3). Thus, factual status of the debtor's insolvency as stated fact is continued during the regimes of bankruptcy and rehabilitation.

Thus, we must learn the issue of the debtor's insolvency attentively. Only stable insolvency of the debtor must be the precondition to the insolvency and further bankruptcy proceedings against him/her. Incorrect conclusion of the trustee, conciliatory board and the board may give rise to the rapid and improvident transfer of the viable company to the regime of bankruptcy.

**SUMMING UP, WE MAY SAY THAT INSOLVENCY – AS FACTUAL STATUS OF THE DEBTOR MAY BE PROVOKED BEFORE INITIATION OF PROCEEDING IN A CASE BY THE COURT; THAT IS THE COMPANY MAY APPEAR TO BE INSOLVENT BEFORE COURT MAKES DECISION. THOUGH WE CAN NOT SHARE SUCH POINT OF VIEW THAT THE FACT OF THE DEBTOR'S INSOLVENCY MUST BE, OR INSOLVENCY CONDITION OF THE DEBTOR, MUST BE CONSIDERED TO BE STATED FACT BEFORE INITIATION OF PROCEEDING IN A CASE. AS SAID ABOVE, THE FACT OF THE DEBTOR'S INSOLVENCY AND ITS LEGAL CONSEQUENCES WILL BE PROVOKED ONLY AFTER LEGAL AUDIT AND EVALUATION OF INABILITY OF PAYMENT IS MADE AND SUBSEQUENTLY IT IS PROVED BY THE COURT VERDICT LATER.**

**ROIN MIGRIAULI,  
Associated professor of Caucasus and  
Georgian Universities, Lawyer**

5. Rehabilitation proceeding, in the first place is directed towards saving the debtor, overcoming his/her financial and economic problems.

6. Conciliatory board – this is special authority established by he creditors and the debtor on the parity option, which evaluates insolvency issue of the debtor and makes decision on it (Insolvency Law, Article 32).